



დეპოზიტების დაზღვევასთან დაკავშირებით ხშირად დასმული კითხვები

1. რა არის დეპოზიტების დაზღვევა?

დეპოზიტების დაზღვევის სისტემა დეპოზიტორების დაცვის მსოფლიოში აპრობირებული მეთოდია, რომელიც უზრუნველყოფს დეპოზიტების გარანტირებულად ანაზღაურებას თანხის კონკრეტული ოდენობით სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას.

2. რას ნიშნავს სადაზღვევო შემთხვევა?

სადაზღვევო შემთხვევა გულისხმობს ისეთ ვითარებას, როდესაც კომერციული ბანკი, გადახდისუუნარობის, ლიკვიდაციის ან გაკოტრების შემთხვევაში, ვეღარ ახერხებს დეპოზიტორებისთვის კუთვნილი თანხების ანაზღაურებას.

3. რატომ გვჭირდება დეპოზიტების დაზღვევა?

დეპოზიტების დაზღვევა იცავს მომხმარებელს კუთვნილი თანხის დაკარგვისგან დადგენილი ზღვარის ფარგლებში. ასევე ხელს უწყობს ფინანსური სექტორის სტაბილურობას, რამდენადაც ნებისმიერ ბანკში სირთულის წარმოქმნისას მნიშვნელოვნად ამცირებს პრობლემის მთელ სისტემაზე გავრცელების, პანიკისა და თანხების მასობრივი გადინების რისკებს.

4. რა უნდა გავაკეთო იმისთვის, რომ ჩემი დეპოზიტები დაზღვეული იყოს?

ყველა დეპოზიტი დაზღვეულია ავტომატურად, კანონის შესაბამისად.

5. ფასიანია თუ არა დეპოზიტების დაზღვევა დეპოზიტორებისთვის?

დეპოზიტორებისთვის სისტემის ამოქმედება არავითარ დამატებით ხარჯებს არ გულისხმობს.

6. რამდენია დაზღვეული დეპოზიტების ანაზღაურებისას თანხის მაქსიმალური ოდენობა?

დეპოზიტები დაზღვეულია 5 000 ლარის ფარგლებში თითოეული დეპოზიტორისთვის თითოეულ ბანკში. ანუ, იმ შემთხვევაში თუკი დეპოზიტორს აქვს ერთ ბანკში რამდენიმე ანგარიში, მისი ანგარიშები აღნიშნული ბანკისთვის ჯამდება, თუმცა ანაზღაურებული თანხის მაქსიმალური ზღვარი უცვლელად 5 000 ლარია.

7. რა ხდება თუკი დეპოზიტზე არსებული თანხა 5 000 ლარს აღემატება?

რეფორმის საწყის ეტაპზე ანაზღაურების მაქსიმალური თანხა განისაზღვრა 5 000 ლარით. იმ შემთხვევაში თუკი თქვენი დეპოზიტი 5 000 ლარს აღემატება, დაზღვეულია მხოლოდ 5 000 ლარამდე, შესაბამისად, აგინაზღაურდებათ 5 000 ლარი, იმის მიუხედავად თუ რა ვალუტაში გაქვთ დეპოზიტი განთავსებული.

8. რატომ დაწესდა 5 000 ლარიანი ზღვარი?

5 000 ლარიანი ზღვარი დაწესდა საერთაშორისო სტანდარტის და ადგილობრივი ბაზრის თავისებურებების გათვალისწინებით. აღნიშნული ზღვარი ოპტიმალურია როგორც დეპოზიტორების უდიდესი ნაწილის სრულად დასაფარად, ისე კომერციული ბანკებისთვის დამატებითი ფინანსური ვალდებულების წნეხის მაქსიმალურად შესარბილებლად. თუმცა, დაწესებული ზღვარი ეტაპობრივად გადაიხედება და ბაზრის თავისებურებების გათვალისწინებით გაიზრდება.

9. ვინ იხდის სადაზღვევო პრემიას?

სადაზღვევო პრემიას იხდიან საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკები მათი მთლიანი შემოსავლებიდან.

10. სად გროვდება ბანკების მიერ გადახდილი თანხები?

ბანკების მიერ გადახდილი სადაზღვევო შენატანები აკუმულირდება დეპოზიტების დაზღვევის ფონდში. აღნიშნული ფონდიდან ხდება დეპოზიტორების ანაზღაურება სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას.

11. ვინ არის პასუხისმგებელი დეპოზიტების ანაზღაურებაზე?

დეპოზიტების დაზღვევის სისტემას სრულად მართავს სსიპ დეპოზიტების დაზღვევის სააგენტო. სააგენტოს ორგანიზაციული სტრუქტურა საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით ჩამოყალიბდა. სააგენტოში, უფროსის ჩათვლით, სულ 5 თანამშრომელია. სააგენტოს საოპერაციო ხარჯები იფარება დეპოზიტების დაზღვევის ფონდიდან. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე ბანკს შეექმნება გადახდისუუნარობის პრობლემა, სააგენტო უზრუნველყოფს დეპოზიტების შეუფერხებელ ანაზღაურებას.

12. ვინ უწევს სისტემას ზედამხედველობას?

დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს მეთვალყურეობას უწევს სამეთვალყურეო საბჭო, რომელშიც შედიან საქართველოს ფინანსთა მინისტრი, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი და კომერციული ბანკების მიერ წარდგენილი 2 დამოუკიდებელი წევრი.

13. რა სახის დეპოზიტები ექვემდებარება დაზღვევას საქართველოში?

დაზღვევას ექვემდებარება რეზიდენტი და არარეზიდენტი ფიზიკური პირების ყველა ტიპის დეპოზიტები, მათ შორის მიმდინარე და საბარათე ანგარიშები, ასევე ვადიანი და მოთხოვნამდე დეპოზიტები.

14. რა სახის დეპოზიტები არ ექვემდებარება დაზღვევას საქართველოში?

დაზღვევა არ ვრცელდება იურიდიული პირების დეპოზიტებზე, ასევე, ფიზიკური პირების იმ დეპოზიტებზე, რომელთა სარგებლობის უფლებაც შეზღუდულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და კანონით დადგენილ გამონაკლისებზე, რომელთა შორისაა კომერციული ბანკების ადმინისტრატორების, მათი ოჯახის წევრების, ასევე 5%-ზე მეტი წლის მქონე აქციონერებისა და მათი ოჯახის წევრების დეპოზიტები.

15. არის თუ არა დეპოზიტები დაზღვეული საქართველოში მოქმედ ყველა ბანკში?

საქართველოში მოქმედი ყველა კომერციული ბანკი დეპოზიტების დაზღვევის სისტემის წევრია, ამდენად, ყველა დეპოზიტი ნებისმიერ ბანკში დაზღვეულია ერთნაირი წესით.

16. რა მოხდება თუკი ჩემი ბანკი სხვა ბანკს შეუერთდება?

დეპოზიტების დაზღვევის პირობები ანალოგიურია ყველა ბანკისთვის. შესაბამისად, იმ შემთხვევაში თუკი თქვენი ბანკი სხვა ბანკს შეუერთდება და გახდებით სხვა ბანკის დეპოზიტორი, თქვენი დეპოზიტი დაზღვეული იქნება იგივე პრინციპით.

17. როგორ გამოითვლება ასანაზღაურებელი თანხის მოცულობა, თუ დეპოზიტორს აქვს რამდენიმე ანგარიში ერთ ბანკში, ან რამდენიმე ანგარიში სხვადასხვა ბანკში?

იმ შემთხვევაში, თუ დეპოზიტორს ერთ ბანკში აქვს რამდენიმე ანგარიში, მოხდება მათი დაჯამება. ასანაზღაურებელი თანხის მაქსიმალური ოდენობა 1 ბანკისთვის 5000 ლარია.

თუ დეპოზიტორს აქვს რამდენიმე ანგარიში სხვადასხვა ბანკში, მისი ყველა ანგარიში ყველა ბანკში დაზღვეულია ცალ-ცალკე 5000 ლარამდე ლიმიტის ფარგლებში.

18. როგორ ანაზღაურდება ერთობლივ ანგარიშზე არსებული თანხმები?

ერთობლივ ანგარიშზე არსებული თანხმები თითოეული დეპოზიტორისთვის დაზღვეულია და ანაზღაურდება 5 000 ლარის ფარგლებში. განაწილება ხდება ანგარიშის მფლობელებსა და ბანკს შორის არსებული ხელშეკრულების საფუძველზე.

19. არის თუ არა დაზღვეული უცხოურ ვალუტაში განთავსებული დეპოზიტები?

დიახ, დაზღვევის პირობები იდენტურია ნებისმიერ ვალუტაში განთავსებული დეპოზიტებისთვის.

20. როგორ დავიბრუნებ ჩემს თანხას ბანკის გადახდისუუნარობის შემთხვევაში?

იმ შემთხვევაში, თუ კომერციულ ბანკს ექმნება დეპოზიტების ანაზღაურების პრობლემა, დეპოზიტების დაზღვევის სააგენტო 20 კალენდარული დღის განმავლობაში უზრუნველყოფს დეპოზიტორებისთვის კუთვნილი თანხის ანაზღაურებას დადგენილი ზღვარის ფარგლებში. ამისთვის შერჩეული იქნება საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკებიდან ერთ-ერთი. ყველა საჭირო ინფორმაცია დეპოზიტორებს ეცნობება სააგენტოს მიერ სადაზღვევო შემთხვევის დადგომისთანავე. 2020 წლიდან, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, ანაზღაურების ვადა შემცირდება 10 დღემდე.

21. რომელ ვალუტაში ანაზღაურდება დაზღვეული დეპოზიტები?

დაზღვეული დეპოზიტები ანაზღაურდება ეროვნულ ვალუტაში - ლარში. იმ შემთხვევაში, თუ დეპოზიტი უცხოურ ვალუტაშია, მოხდება მისი კონვერტირება ეროვნულ ვალუტაში, ბანკის გადახდისუუნაროდ გამოცხადების დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დაფიქსირებული ოფიციალური გაცვლითი კურსით.

22. რა ხდება იმ შემთხვევაში, თუკი სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას ფონდში არ არის საკმარისი თანხმები დეპოზიტორების ასანაზღაურებლად?

იმ შემთხვევაში, თუკი სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას, დეპოზიტების დაზღვევის ფონდში არ იქნება დეპოზიტორების ანაზღაურებისთვის საკმარისი თანხმები, სააგენტო უფლებამოსილია და აქვს შესაძლებლობა ისესხოს ფული სახელმწიფოსგან და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებისგან.

23. როგორ იმართება დეპოზიტების დაზღვევის ფონდში არსებული თანხმები?

დეპოზიტების დაზღვევის ფონდში არსებულ თანხმებს დადგენილი საინვესტიციო პოლიტიკის შესაბამისად მართავს დეპოზიტების დაზღვევის სააგენტო, ასევე უფლებამოსილია სამართავად გადასცეს სახელმწიფო ხაზინას ან ეროვნულ ბანკს. საინვესტიციო პოლიტიკა ეფუძნება კანონით გათვალისწინებულ პრინციპებს, რომლის მიხედვითაც თანხების ინვესტირება ხდება ურისკო აქტივებში. ინვესტირებით მიღებული მოგება ირიცხება ასევე ფონდის ანგარიშზე.

24. როგორ შემიძლია მეტი ინფორმაცია მივიღო საქართველოში დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ?

დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ ინფორმაციის მიღება შესაძლებელია დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს ოფიციალური ვებ-გვერდიდან: www.diagency.ge და სააგენტოს ნომრებზე: 2 29 67 38, 2 29 67 36.